საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 6 04/01/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა #5-ში მდებარე 543კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 36.01.02.051.01/501 და პირველ სართულზე მდგარი 85 კვმ. ფართის შენობა - ნაგებობის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით ა.ა.ი.პ. „სათნოების სახლისათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს **„სათნოების სახლს“** დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა #5-ში მდებარე 543.00კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 36.01.02.051.01/501 და პირველ სართულზე მდგარი 85 კვმ. ფართის შენობა - ნაგებობა.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 – ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე